ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის კომისია

სხდომის ოქმი №2

ზუგდიდი

05.04. 2022 წელი

2022 წლის 05 აპრილს ამერიკული კუთხის დარბაზში ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის (2022 წლის 21.03 ბრძ.№24. 242208016) კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **კონსტანტინე კაკავა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი- კომისიის თავმჯდომარე.

- **ზამირა ღადუა** –ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის თავჯდომარის მოადგილე.

კომისიის წევრები:

- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

- **ხათუნა დარასელია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

- **ია ეხვაია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

- **ლექსო თოდუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.

- **ნინო სიჭინავა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

- **ნათია ფიფია**- ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი-კომისიის წევრი.

- **ბელა ხუბუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის 4 წევრი.

- **კობა ჯიქია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.
- **მაია ჩიტაია** --ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე- კომისიის წევრი.

- **ლაშა ჯიქია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

- **დავით შამათავა**-ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი- კომისიის წევრი.

კომისიის მდივანი: ბელა ხუბუა

სხდომის თავმჯდომარე : კონსტანტინე კაკავა

დღის წესრიგი:

<u>**მისალმება**</u>

1. განსახილველად შემოგვაქვს კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის ანა კოდუას განცხადება. ანა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.
2. განსახილველად შემოგვაქვს მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები პოლონეთის უმაღლესი საბანკო სკოლის ტორუნის ფილიალის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტის გიგი ხვინგიას განცხადება. გიგი მესამე წელია სწავლობს აღნიშნულ უნივერსიტეტში. ის ითხოვს ფინანსურს ხელშეწყობას.
3. განსახილველად შემოგვაქვს მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ინჟინერიის სკოლის მე-2 კურსის სტუდენტი მარიამ შენგელიას განცხადება. მარიამი 2022 წლის თებრვლიდან ივლისამდე ERASMUS + გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლობს რომის თორ ვერგატას უნივერსიტეტში ინჟინერიის ფაკულტეტზე. მარიამი ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.
4. განსახილველად შემოგვაქვს ჩხოუშიის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ავსტრიის ქალაქ ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტში ბიზნესისა და ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის კესო ჩიქოვანის განცხადება. კესო ზაფხულის სემესტრს გაივლის აღნიშნულ უნივერსიტეტში. კესო ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.
5. განსახილველად შემოგვაქვს მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები სალომე ტყებუჩავას განცხადება. სალომე არის ხატვის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული გრაფიკის მიმართულებით. მას უკვე ჰქონდა ორი გამოფენა და ემზადება უფრო მაშტაბური გამოფენისთვის. სალომე ითხოვს სახატავი მასალის შესაძენად ფინანსურ ხელშეწყობას.
6. განსახილველად შემოგვაქვს მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ნინო გაბეჩავას განცხადება. ნინოს ნიჭიერებაში და შესაძლებლობებში

დარწმუნებულია სამხატვროს ხელმძღვანელი ნათია ქადარია. ნინო ითხოვს სახატავი მასალის შესაძენად ფინანსურ ხელშეწყობას.

7. განსახილველად შემოგვაქვს მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ლუკა ბარამიას განცხადება. ლუკა არის ხატვის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ლუკა. ის აქტიურად არის ჩართული სახვით ხელოვნებაში. ლუკა ითხოვს სახატავი მასალის შესაძენად ფინანსურ ხელშეწყობას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა

მოისმინეს:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო შემოსული განცხადებები.

აზრი გამოთქვა:

კონსტანტინე კაკავა- დღევანდელი კომისიის ადრესატები მრავალმხრივ ნიჭიერები და გამორჩეულები არიან. ჩვენი ქალაქის სიამაყე და მომავალი თაობაა ეს ახალგაზრდები, რომელსაც მუნიციპალიტეტი შესაძლებლობის ფარგლებში მხარს უჭერს მათი ცოდნის განვითარებასა და გაღრმავებაში, რაც ყველაზე მეტად მახარებს.

ზამირა ღადუა- დღევანდელი შეკრების მიზეზია ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების და მოტივაციის ამაღლება. ყველა განცხადებას გავეცანი და თითოეული მათგანი უდაოდ ნიჭიერია, რაც დასტურდება მათი წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

ხათუნა დარასელია- როგორც არაერთხელ მითქვამს, უდიდესი პატივია ამ კომისიაში მუშაობა, რადგან თითოეული ახალგაზრდის მოტივაციისა და წარმატებისკენ მიმართული ნაბიჯი, ქალაქის, ქვეყნის წარმატებული მომავლისკენ არის გადადგმული. მით უფრო, როდესაც თვითნასწავლ მხატვრებს ეხება საკითხი. მე მხარს ვუჭერ მათ დაფინანსებას.

ლექსო თოდუა- რაც ამ კომისიის წევრი გავხდი, ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გავიცანი, ზოგი ონლაინ ჩართვით, ზოგი კი ადგილზე. მრავალფეროვანია მათი საქმიანობა. დღევანდელ კომისიაზე წარმოდგენილი განცხადებებიც ინდივიდუალურად განვიხილეთ და მივესალმები ყველას დაფინანსებას. რაც შეეხება მხატვარ სალომე ტყებუჩავას, რომელსაც უკვე ჰქონდა ორი პერსონალური გამოფენა და კალიგრაფიის

მხრივაც აქვს ბევრი წარმატება, სრულად დაფინანსდეს, რაც შეეხება ნინო გაბეჩავას და ლუკა ბარამიას მხარს ვუჭერ კომისიას მათი 1400 ლარით დაფინანსებას.

გიგლა სულამანიძე- წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის წესს. დღევანდელ კომისიაზე წარმოდგენილი განცხადებები, როგორც უცხოეთში სწავლის ხელშეწყობა, ისე დამწყები მხატვრებისთვის ფულადი წახალისება მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის. რასაც მივესალმები და მხარს ვუჭერ კომისიის გადაწყვეტილებას.

დაადგინეს:

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის წევრების გადაწყვეტილებით:**

1. ანა კოდუას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
2. გიგი ხვინგიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
3. მარიამ შენგელიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1500 ლარის ოდენობით.
4. კესო ჩიქოვანს გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1500 ლარის ოდენობით.
5. სალომე ტყებუჩავას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1400 ლარის ოდენობით.
6. ნინო გაბეჩავას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1400 ლარის ოდენობით.
7. ლუკა ბარამიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1400 ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზამირა ღადუა

წევრები:

გიგლა სულამანიძე

ზაზა გაბისონია

ხათუნა დარასელია

მონიკა შამათავა

ლექსო თოდუა

ია ეხვაია

ნათია ფიფია

ნინო სიჭინავა

მდივანი:

ბელა ხუბუა

05.04.2022 წელი.